



პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 175

2018 წ. „12“ 09

ქ. თბილისი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების  
დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30<sup>1</sup>-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის“ (ს/კ: 217890192) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართი
1	მეფუტკრე (2)	მესამე	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010353	71	86	ქართული	12	ქ. გორი, ზესიკის №2



2	სამღებრო სამუშაოების შესრულება (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 040688	59	74	ქართული	24	ქ. გორი, ბესიკის №2
3	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში 040688	67	82	ქართული	24	ქ. გორი, ბესიკის №2
4	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 040689	77	92	ქართული	48	ქ. გორი, ბესიკის №2

- (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
- (2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №17 სხდომის ოქმის მეცამეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე  
კარლო კერვალიშვილი

მდივანი  
ანასტასია ქიტიაშვილი